# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

...გოლოვინის პროსპექტზე. იგ. მუხრანსკის სახლებ-...ლების ქვემოთ

**ხელის-მოწერა**

...მიიღება თფილისში „დროებისა" რედაქციაში, ქუ-...თაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...ხელის-მომწერებმა თავის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

...ელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
...ქვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოით სტრიქონზე შაური.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია ... და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.


ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება"

პირველის მაისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ-რუსის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 30 აპრილს. ებრაელების კომიტეტმა გამოაცხადა: მმართებლობის ყველა მოხელე პირებს გამოაცხადონ, რომ ისინი ღვთისა და რუსეთის წინაშე აღიარებენ, რომ ებრაელებს არავითარი ისეთი დაწესებულება და საიდუმლო საზოგადოება არა აქვსთ, რომელიც იმათსა და რუსის ხალხს შუა განხეთქილებას სთესავდეს.

მინისტრთა კომიტეტის გარდაწყვეტილებით ციმბირის რკინის გზა სამარაზე და უფაზე გაივლის.

ლიმერიკი, 30 აპრილს. (ირლანდია). ადგილობრივ მოსამართლემ მიიღო ცნობა, რომ ფენიებმა შენი მოკვლა გადაწყვიტესო.

პეტერბურღი, 1 მაისს. „გოლოსი" გვაცნობებს, რომ პეტერბურღის საქალებო კურსების შენახვა და გამგეობა ქალაქის ოვით-მმართველობამ იკისრაო.

ლონდონი, 1 მაისს. ირლანდიაში ახალი მკაცრი კანონები უნდა დაწესდნენ სამის წლის გადით: მოსამართლეები მთავრობისაგან იქნება დანიშნული, ნაფიცი მსაჯულები აღარ იქნებიან; პოლიციას ექნება უფლება გაჩხრიკოს საეჭვო კაცების სადგომი, დააპატიმროს ისინი და უცხო ქვეყნელები განდევნოს ინგლისის სამფლობელოდამ.

ეგვიპტეს წარჩინებულ პირთა პროექტით ახლანდელი ქედივი ეგვიპტოსი ტევფიკი გადაყენებულ უნდა იქმნეს ტახტიდამ და იმის მოადგილეთ უნდა დაინიშნოს შვილი მისი აბბაზ, რომლის რეგენტათად უნდა იყოს მინისტრი-პრეზიდენტი; აღზრდა ამისა მინდობილი უნდა იქმნეს არაბის-ფაშას.

პეტერბურღი, 2 მაისს. ღენერალი სოკალსკიმ შეადგინა პროექტი შავის ზღვის აღმოსავლეთ მხრის დასახლებისა. ამ პროექტით ეს ადგილები ისევ აბხაზებით უნდა იქმნეს დასახლებული და საზოგადოთ ადგილობრივ მცხოვრებლებით, რადგან რუსები იქ ვერ სძლებენო.

„გოლოსის" სიტყვით, რუსეთის სატუსაღოების მმართველი გროტ დათხოვნილია სამსახურიდამ და იმის ადგილზე დროებით მინისტრის ამხანაგი დურნოვო არის დანიშნული.

ხელმწიფე იმპერატორის ოჯახი გუშინ გატჩინოდამ პეტერგოფში გადმოესახლა.

**პეტერბურღის ბირჟა, 1 მაისს.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 93 | 62 |
| მეორესი— — — — | 90 | 75 |
| მესამესი — — — — | 90 | 87½ |
| მეოთხესი — — — | 90 | 62½ |
| მეხუთესი — — — | 90 | 62 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 90 | 50 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 | 50 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 | 50 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 4 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 217 | 75½ |
| მეორე სესხის — — | 211 | 50 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — „ — „ | | | პენსი |
| ჰამბურღი — | 208 | 87 | ცენტი |
| პარიჟი — — | 257 | 25 | სანტიმი |
| ბერლინი — „ — „ | | | პფენიგი |

## ბატონის შვილის ერეკლეს დასაფლავება.

†

დიდის ამბითა და საერთო პატივისცემის გამოცხადებით გამოასვენეს ახლად-გარდაცვალებული ბატონის შვილი ერეკლე. შაბათს დილის 10 საათზე იყო დანიშნული სახლიდამ გამოსვენება. ამ დროისთვის იმის სასახლეში მოგროვდნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყების წარმომადგენელნი, ექსარხოსი თავის კრებულითა, სომხების, მაჰმადიანთ და სხვა სარწმუნოებათა სამღვდელოება, ბევრი ნათესავები და პატივისმცემელნი მიცვალებულისა.

მთელი ქალაქის მაღაზიები დაკეტილი იყო.

ყველა ამქრები თავიანთ დროშებით მოვიდნენ და მიცვალებულის სახლის წინ დაემწკრივნენ. ამ ქუჩაზე უანგარიშო ხალხი; უანგარიშო ხალხი აგრეთვე ერევნის მაიდანზე, შუა ბაზრის ქუჩაზე და ყველა სახლების ბალკონებზე და ფანჯრებზე, რომელიც კი სიონისაკენ არის.

ბალდახინი მშვენიერად შემკობილი ყვავილებითა და ძვირფას ფარჩეულობით; ოთხივ კუთხით საქართველოს გერბი მიკრული!

სწორედ 10 საათზე მიცვალებული გამოასვენეს სახლიდამ და პროცესია დაიძრა. თავი რომ შუა-ბაზრის ქუჩაზე იყო ხალხისა, ბოლო ჯერ კიდევ მიცვალებულის სახლთან ჰქონდა.

თითქმის ნახევარი საათი მოუნდენ სიონში მისვლამდინ. ახალგაზდა ქვრივის უუბრწყინვალესის კნეინის თამარის ნახვა და იმის ორი მცირე წლოვანის ქალისა, რომელნიც მძიმე შავებში იყვნენ და გულ-ხელ დაკრეფილნი მიჰყვებოდნენ კუბოს, გულმოსაკლავ სურათს წარმოადგენდა.

პირველ საათზე გაათავეს პარაკლისი. ორი სიტყვა წარმოითქვა მიცვალებულის საფლავზე: მღვდლის მ. დიმ. ჯანაშვილისაგან და არხიმანდრიტის გრიგოლ დადიანისაგან. უკანასკნელს სიტყვას, რომელმანც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე ამ დღეებში დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

მეორე საათზე მიცვალებულის კუბო გამოასვენეს სიონიდამ და გალავინის პროსპექტით ვერამდინ მიასვენეს ხელით. აქ მომზადებულს ბალდახინზე დაასვენეს და მცხეთისაკენ მიემართნენ, სადაც იმ ღამესვე დაასვენეს მცხეთის სვეტიცხოვლის ეკკლესიაში.

დასაფლავება მეორე დღის—კვირისათვის იყო დანიშნული. მიწვეული ხალხისათვის საგანგებო მატარებელი —შვიდი ვაგონი—იყო დანიშნული დილის 9½ საათისათვის. მაგრამ მომეტებული ნაწილი ხალხისა 9 საათისა და 18 მინუტის მატარებლით წავიდნენ. რკინის გზის ვაგზალზე ამ დღეს სწორედ ისეთი ამბავი, ისეთი ხალხი იყო, როგორც მცხეთობა დღეს იცის ხოლმე. უკანასკნელი სამი ათასი კაცი წავიდა ამ დღეს მცხეთას, საქართველოს ბატონის შვილის უკანასკნელ პატივის საცემლად და ადგილი რომ

(დროების) ფელეტონი, 4 მაისი.

### მხედართ სიმღერა

(მიბაძვა ბერანჟესი)

ქალი, ქალთამზე, ნარნარი,  
თვალ-საჩინი, პირ-წყლიანი  
ტრფიალს მოელის, ბანზედ დგას  
მოწყენით, გულ-სევდიანი.

—

ამ დროს შორიდგან მოისმა  
ჯართ სიმღერა—მოთქმა, ბანი;  
მალებით უცბათ აივსო  
დერეფანი, ერდო-ბანი.

—

შორს გზას მიდიან მამაცად,  
მტრებთან აპირებენ ომსა;  
ვაჟკაცები ურევია,  
რომ თითო ჰგავს სწორედ ლომსა.

—

მოახლოვდნენ,ვარდახედეს  
ქალთ ყრმებსა და ყრმებმა ქალთა,  
და ბევრს მათგანს წარმოსცვივდა  
უწებურათ ცრემლნი თვალთა:

—

ვინ ვის სტოვებს: შვილი მშობელს,  
ძმა—დას, მოყვასს, ვინ მიჯნურსა;  
ზოგიც ნაღვლით ესალმება  
გულის ვარდსა სანანურსა!

—

უცბათ წინ წარსდგა ქალთამზე  
სულ შეხუთული, მღელვარე,  
ვისაც ეძებს გატაცვით  
მის თვალი ცეცხლებრ მღელვარე.

—

დაინახა, მონავარდობს  
ჭაბუკი ვინმე რიდითა;  
გულ აღძრა დააშტერდა  
თამამად და არ რიდითა.

—

გულის საკლავად ამშვენებს  
ჭაბუკს ფარ-ხმალი, აბჯარი,  
ამპარტავნათ მოაბიჯებს,  
უკან მოსდევს მისი ჯარი.

—

რა ქალთამზე დაინახა,  
გონს მიხდილი უქნევს ხელებს!..  
(უცბათ ტრფიალის შეხვედრა  
მიჯნურს ვით არ გაახელებს!)

—

გული უდუღს და ვერა სტირს,  
ველარც სიტყვისა მთქმელია!  
თურმე ტრფიალთ მოშორება  
ყველაზედ უფრო ძნელია!

—

ბოლოს მისძახა: „ჰე სატრფოვ,  
მწველო ლახვარო გულისა,  
მწვავს ალი შენის ცეცხლისა,  
ჩემს გულში დანერგულისა!

—

„მხლა ომში მივეშურვით,  
გთხოვ, მიცადო ერთი წელი,  
მე პირ-ნათლად შეგეყრები,  
თუ მექმნება თავი მთელი!

—

„შენ მხოლოდ ღმერთს შევვედრე,  
შვება მისცეს ამ ჩემს ჯარსა,  
და გეფიცები მას ზენარს,  
რომ შენზედ დავიწერ ჯვარსა.

—

„აწ გესალმები, მშვიდობით,  
ვიდრე ენახავთ ერთმანეთსა:  
რომ ჩემს სიტყვას არ ვუმტყუნებ,  
თავდებად გაძლევ თვით ღმერთსა!.."

—

სთქვა ესა და ცხენსა ქუსლი  
შემოჰკრა და გააჭენა;  
უკან მისი ჯარი მიჰყვა,  
მტერისა გული აავყენა.

—

ყოფილიყო, ორი ამდენი კიდევ იყო მსურველი.

მცხეთაშიაც ყოვლად უსამღვდელოესმა ეგზარხოსმა გარდაიხადა პარაკლისი (აქ კი ქართული წირვა იყო და გალობაც). აქაც წარმოსთქვა სიტყვა ბ. პარბელოვმა.

საქართველოს წესისამებრ, მცხეთაში ქალაქიდამ და სოფლებიდამ მოსულ ხალხისათვის დიდი ქელეხი იყო დამზადებული.

იმის დასამტკიცებლად—თუ რა თანაგრძნობა და პატივისცემა ჰქონდა ქალაქის ხალხს მიცვალებულ ბატონიშვილის ერეკლეს მოგვყავს შემდეგი ამბავი:

როცა ამქრებმა შეიტყეს, რომ ბატონიშვილის უუბრწყინვალესი ქვრივი იმათთვის ქალაქში ქელეხს ამზადებს, ამათ საერთო სურვილი გამოაცხადეს, რომ ქელეხს ჩვენ ჩვენის ხარჯით გიახლებითო და თუ ბატონიშვილს ამისთვის რამე ფული ჰქონდა დანიშნული, იმ ფულით სასწავლებელში იმის სახელობით ღარიბი ხალხის შვილები გაიზარდონო.

მოგვყავს აქვე მეფის ვახტანგის „დასტურლამალიდამ“ რიგი მეფის გვამის წასვენებისა მცხეთაში:

„მეფეს რომ დაუმარცხდეს, მცხეთას დამარხონ. ქალაქიდამ რომ წაასვენონ, სომხით საბარათიანოს სარდალმა და მისმა სასარდლომ უნდა ასწიოს საკაცესა, დიღმის წყლამდის უნდა წაასვენოს. დიღმის წყალს იქით, დევის ნამუხლამდინ ამილახორმან და მისმან სასარდლომ წაასვენონ, დევის ნამუხლს იქით ხიდამდინ ბატონის (ესე იგი მეფის) დროშის კაცმან; ხიდს იქით საყდრამდის მუხრანის-ბატონმა, არაგვის ერისთავმა და ქსნის ერისთავმა და მისმან სასარდლომ. რასაც ალაგს მიიყვანონ, გზა ულუფით უნდა გაზომონ; ისე ამ გზებით უნდა წაასვენონ. სარდლებმა თავისს სასარდლოს*) კაცებს ზარი**) უნდა ათქმევინონ; საკაცეს რომ სხვა-და-სხვა კაცი გამოეცვალოს, ქირისუფალთან მოვიდნენ და ზარი სთქვან და მერმე ცამეტი მეორე სარდალს რომ კაცი გამოეცვალოს, კიდევ ქირისუფალთან მოვიდნენ, ზარი სთქვან და იმათ დაისვენონ“.

*) სასარდლოდ იყო სამხედრო ნაწილი საქართველოსი, რომლის დროშას ემორჩილებოდნენ თითო ნაწილის თავადების ჯარები აზნაურ-გლეხებით.

**) მთელის ხალხით ერთ ხმად ტირილი. დღესაც ქართლ-კახეთის ზოგან სოფლებში საერთოდ იმერეთშია ზარით ტირილი. მოთქმით ტირილი კიდევ სხვაა, ქართლ-კახეთში იციან.

## თავად-აზნაურთა სკოლის კრებაზე

28 აპრილს იყო ყრილობა თავად-აზნაურებისა, რომელსაც კარგა ხანი ველოდით. ველოდით იმიტომ, რომ ამ კრებას უნდა გადაეწყვიტა ჩვენი არსებითი კითხვა—გიმნაზიის გახსნა, მაგრამ ეს კითხვა ისევ აუხსნელი დარჩა თავად-აზნაურების კრებამდინ, რომელზედაც უნდა გადასწყდეს: გვექნება ჩვენ გიმნაზია, თუ არა.

საზოგადოების ყრილობა დაიწყო კომიტეტის ანგარიშის კითხვით. ანგარიშში იყო მოხსენებული, თუ რამდონი იყო შემოსავალი, გასავალი და რა მდგომარეობაში იმყოფება ამ ჟამად სათავად-აზნაურო სკოლა.

სკოლა, ანგარიშის სიტყვით, იმყოფება ფრიად სასიამოვნო მდგომარეობაში, როგორც სწავლის, აღზრდის, ეგრეთვე ნივთიერის მხრით. მოსწავლეები, რომელთაც ამ სკოლაში მიუღიათ სწავლა და გადასულან სხვა სასწავლებლებში, ყველგან ყოფილან, არამც თუ პირველთაგანნი, არამედ პირველნი.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. პ. ქ. მამაცოვმა მიჰმართა საზოგადოებას სიტყვით, რომელშიაც გამოხატა აუცილებელი საჭიროება ჯერ-ჯერობით პირველი გიმნაზიური კლასის გახსნისა და შემდეგ, თუ შევიძლებთ, საკუთარი გიმნაზიაც უნდა გავხსნათო. აქვე იყო წაკითხული ხარჯთ-აღრიცხვა მომავალი წლისა, რომლიდამაც შევიტყეთ, რომ ამ წლისათვის სკოლის ხარჯად საჭირო იქნება ოც-და-რვა ათას მანეთამდინ.

ეს ხარჯთ-აღრიცხვა ყრილობამ დაამტკიცა; მაგრამ აქვე ერთი დაბრკოლება მიეცა: ბ. ჩოლაყაშვილი წარმოდგა და სთქვა, რომ ჩვენ ამ სმეტის დამტკიცება არ შეგვიძლიანო, რადგანაც არ ვიცით ბანკი რამდენ ფულს მისცემს ამ სკოლასაო, რადგანაც აღმოჩნდა ერთი თავადი ანდრონიკოვი, რომელსაც ჰსურს ხვალ ბანკის კრებაზედ შეიტანოს წინადადება იმის შესახებ, რომ სათავად-აზნაურო სკოლას მოესპოს ბანკიდამ შემწეობა, და დანიშნული ფულით სამეურნეო სკოლა დაიხსნასო.

ბ. ჩოლოყაშვილი ჰკითხავს:—რა ღირს ერთი პანსიონერის შენახვა?

კომიტეტმა უპასუხა: 400 მანეთამდინ. თავის ხარჯით მყოფი შეგირდები კი იხდიან 200 მანეთს. ამის შესახებ ჩოლაყაშვილი ურჩევს კომიტეტს თავის ხარჯზე მყოფ შეგირდებს გადაახდევინონ სრული ხარჯი, და რაც მათზედ მეტი მიდის, ის ფული მოახმარონ უფრო ღარიბ მოსწავლეებს.

ბ ი. მაჩაბელი ამბობს:—ხალხში დადის ხმა, ვითომც კომიტეტს ფულის ანგარიში კარგათ ვერ მიჰყავსო არ შეიძლება წარმოგვიდგინოთ დაწვრილებით ფულის მოძრაობის ანგარიში?

პ. ქ. მამაცოვი. მართალია, ჩვენ ხაზინადარს ბ. ვ. დ. თულაშვილს რამდენიმე ხანი 1,300 მან. ბანკში არ შეეტანა, მაგრამ ეხლა ფული შევსებულია და ხაზინადარი ამ გვარი მოქმედებისთვის დათხოვნილია თანამდებობიდგან.

გ. გაბაშვილი. რათ მოხდა ეს ასე? ან რა ღონის-ძიებას ხმარობს კომიტეტი, რომ მომავალშიაც არ მოხდეს ამ გვარი სამწუხარო შემთხვევა?

პ. ქ. მამაცოვი. ანგარიშების გასასინჯავათ ინიშნებოდა კომისია კომიტეტის წევრებიდამ.

გ. გაბაშვილი. რატომ მუდმივი კომისია არ არის ანგარიშების გასასინჯავათ?

სეკრეტარი. ამ კომისიის თანამდებობას ასრულებდნენ კომიტეტის წევრები.

ი. მაჩაბელი სთხოვ წაიკითხონ რევიზიის კომისიის პროტოკოლი.

სეკრეტარი კითხულობს და აქვე აღმოჩნდა, რომ ანგარიშებში იყო შენიშნული შეცდომილება, რომელიც უკვე გასწორებულია.

თ. ი. ჭავჭავაძე ჰკითხავს: არსებობს რამე ინსტრუქცია გამომძიებელი კომისიის სახელმძღვანელოთ თუ არა?

სეკრეტარი. ხელმძღვანელობენ კომიტეტის პროტოკოლების დადგენილებებით.

ჰკითხულობენ რამდონსამე პროტოკოლს, მათ შორის ხაზინადრის გადაყენების შესახებაც.

გ. გაბაშვილი. კომიტეტს აღმოუჩენია შეცთომილება ანგარიშებში, ფული არ დაკარგულა—და ამაზედ დამშვიდებულა. მე გეკითხებით, რათ მოხდა ამ გვარი შეცთომილება? ხომ შეიძლებოდა, ფული დაკარგულიყო?

პ. ქ. მამაცოვი. ჩვენ არ ვიმართლებთ თავს. ჩვენ თითონვე გამოვაცხადეთ საყვედური. მაგრამ ამასთანავე უმატებ, რომ კომიტეტის წევრებს არ შეიძლება ძალიან მკაცრათ მოე…ცეთ, რადგან ყველა მათგანს აქვს სპეციულური საქმე, რომ ისინი ემსახურებიან უჯამაგიროთ, რომ მათ არ შეუძლიანთ აასრულონ ბევრი ფორმალური საქმეები, რის გამოც შეიძლება შეცდომაში ადვილად ჩავარდნა. ის გულითად მადლობას უძღვნის კომიტეტს, რომელმაც ჩვენში დაბადა ამისთანა თვალ-საჩინო საქმე სკოლა.

შემდეგ დაიწყება გაცხარებული ბაასი. ზოგი ამტკიცებს, რომ ის … არ უნდა გიკვირდეთ, რომ კაცს შეცთომილება მოსვლია, ის უნდა გვკვირვებოდეთ, რომ წინააღმდეგი მომხდარიყოვო, რადგანაც ადამიანს შენებითვე მოსდევს შეცდომილება.

---

ქალთამზე, ვიდრე ხედავდა,
ცრემლისა ღვარში ლბებოდა;
რა თვალს მოშორდა, დამშვიდდა,
მომავალს ელოდებოდა.

—

გავიდა წელი, ქალისგან
თითო დღეობით დათვლილი;
ქალი მტკიცე იმედზედ სდგას,
სრულებით არ იქმნა ცვლილი.

—

დაიძახეს: „გამარჯვებით
უკვე მოდის ჩვენი ჯარი“:
მოდიან და იმღერიან,
წინ მოუძღვის წმიდა ჯვარი!

—

„ვაშას“ ძახილით, ყიჟინით
უკრავენ საყვირს და ბუკსა...
ქალთამზე გზაზედ გაიჭრა,
ათვალიერებს ჭაბუკსა!

—

უყურებს და ყველას შინჯავს,
სულ თვალთა ჩინი დალია!..
ვგონებ, იმ წუთში სიმწარის
სავსე ფიალი დალია:

—

ჯარი ილევა.... ჭაბუკის
მათში ყოფნა არ ატყვია!..
თურმე, ნუ იტყვით, საბრალოს
გულში მოხვდა მტრისა ტყვია!..

—

ქალთამზე მუნ უცბათ განქრა,
ვერ ჰპოვეს ძმათ და ვერც სხვამა...
და სმენითაც არვინ იცის,
მიწამ ჩაყლაპა, თუ ცამა!

25 აპრილს. ა. წ.

### ნატვრა

ეჰ, ნეტა ჩემთვის ქვეყნად მრგვინავი
სატყვა მოეცა ნიჭად განგებას!
რა სასტიკ მტერად აღვუჩნდებოდი
სიმართლის მჩაგვრელს კაცთა მჩაგვრებას;

—

თანამოძმეებს ავალაშქრებდი
ბოროტებისა დასანარცხავად,
დროშას ნათლისას ზე აღვმართავდი
ბნელეთის არსთა გულ-საგმირავად;

—

გულით ამგზნებელ ლექსთა მღერითა
გამოვიწვევდი ჭაბუკთ ქველობას
და ყველას გულში ჩავუნერგავდი
მამა-პაპურსა გმირულ მხნეობას;

—

მტარვალთა ურდოს ზარსა დავსცემდი,
მკვდრებსაც სათვლავში შევუძრწუნებდი,—
ჩვენგან რაც საზრდო წარუტაცნია,
პირიდამ ბალღმად ვანთხევინებდი!..

—

მისასწრაფავად კვლავ გახდებოდა
მივიწყებული დღეს იდეალი,
რომლისთვის მარად სისხლის რუს ჰღვრიდა
დაუძლეველი მხნე წინაპარი..

—

რა გულ სიმშვიდეს, ბედნიერებას
მოვესწრებოდი ამ სანატრელ ჟამს,
რა გულის გამგმირ ნიშს მივუგებდი
ვისაც დღეს ჩვენი არაფერი სწამს!..

—

მაგრამ... ვაგლახ მე! ზეგარდმო ჩემთვის
განგებას ნიჭი არ მოუცია,
საქმეს ვერ გავარობ მტერთა თრგუნვისთვის
წადილი თუმც მაქვს—ძალა მაკლია...

—

ბოროტ—მტარვალთ კი ბურთი ხელში აქვთ
კვლავად ცდილობენ მოედნისათვის...
გამოდით, დროა, მამულის შვილნო,
მამულს სჭირიხართ ამა დღისათვის!

—

ვიცი ჩემებრ ხართ ცალ-ცალკეობით
მტერთან ბრძოლითა უნდოთ მეოტნი,
მაგრამ შევერთდეთ, მით განვძლიერდეთ
ზოგადის ძალით ვდევნოთ ბოროტნი!

—

იქ, სადაც ერთი ზეგარდმო ნიჭით
სულ-შთაბერილი უნდა იბრძოდეს,

...თულაშვილი ამბობს, შეცთომი-
...ლება იმიტომ მომივიდა, რომ ორდე-
...რებს თავის დროზედ არ მაძლევდნე-
...ნო.

...ასტყდა გაასი ახალ სარევიზიო კა-
...მისიის დანიშნვა ზედ, რომლის წინა-
...დადება თ. ილ. ჭავჭავაძემ შემოიტანა.
...ზოგს ჰსურდა, ზოგს არა. თავადმა
...ვ. ვაჩნაძემ სთქვა: კომისია მოუ-
...რკვევს ფორმალიზმს; და როგორც
...მოვეხსენიებათ მთელი რუსეთი ფორმა-
...ლიზმისაგან არის გამოხრულიო. გა-
...დაწყვიტეს, რომ ახალი კომიტეტი
...იყოს გამომძიებელ კომისიათ ძველი
...კომიტეტისთვის, რომლისაგანაც საქ-
...მეები უნდა ჩაიბარონ.

შემდეგ მოხდა ახალი კომიტეტის
...წევრების ამორჩევა კენჭის ყრით:
ამორჩეულ იქმნენ:

ქ. მამაცოვი თავს-მჯდომარეთ
...ორხმათ-უკენჭოთ.

ი. ს. გოვებაშვილი თავს-მჯდომა-
...რის ამხანაგათ-უკენჭოთ.

| ...წევრებად: | თეთრი | შავი კენჭი. |
|---|---|---|
| ...ვ. ორბელიანისა | 54 | 1 |
| ...ზ. ცხვედასე — | 52 | 3 |
| ...დ. ბაბაშვილი | 51 | 4 |
| ...ზ. ჩოლაყაშვილი | 46 | 9 |
| ...ი. სარაჯოვი — | 44 | 11 |
| ...ს. მაქელაძე — | 42 | 13 |

ამ ყრილობაზედ მოხდა ერთი
...ფრიად შესანიშნავი მოვლენა: ბ. ხე-
...რხეულიძემ შემოიტანა ყრილობაში
...წინადადება, რომ ის სწირავს ამ თა-
...ვად-აზნაურთა საზოგადოებას სკოლის
...სახლისთვის ადგილს ვერაზედ ამ პი-
...რობით: იმას აქვს ვერაზედ 500 ოთხ-
...კუთხი საჟენი ადგილი; ამადგილიდამ ის
...ნახევარს სწირავს საზოგადოებას, მეო-
...რე ნახევარი კი შეისყიდოს საზოგადოე-
...ბამ საჟენი 7 მან. შეიქნა თათბირი.
...ზოგი ამბობდა, ვაი თუ სკოლისათ-
...ვის არ გამოდგეს ის ადგილიო, და
...ფული ტყუილათ დავკარგოთ იმ ნა-
...ხევარშიაო- ზოგი ამბობდა, თუ არ
...გამოგვადგება, შეგვიძლია გავყიდოთო.
...მეორე წამოდგა ბ. ხერხეულიძე და
...სთქვა: რადგანაც თქვენ გჭირდებათ
...მეორე ნახევრის ყიდვაო, პირველი
ნახევარი მომირთმევია, ვალდებული
არა ხართ მაინც-და-მაინც მეორე ნა-
ხევარი იყიდოთო. ასტყდა საშინელი
ტაშის-კვრა, ბრაოს ყვირილი და იქვე
საზოგადოებამ ერთხმათ გადასწყვიტა
ამოერჩიათ ბ, ხერხეულიძე საპატიო
წევრათ. საზოგადოებამ მიანდო კომი-
ტეტს დაათვალიეროს ეს ადგილი, და
საზოგადოთ მოახდინოს კანონიერი
განკარგულება ამ ადგილის ჩაბარება-
ზედ. ამითი დაიშალა საზოგადო ყრი-
ლობა.

## ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

მოგვყავს კიდევ ზოგიერთი დამატე-
ბითი ცნობანი ახლად-მიცვალებუ-
ლის ბატონიშვილის ირაკლის ბიო-
გრაფიისათვის, რომელიც ჩვენ ერთის
პატივცემულის პირისაგან მივიღეთ:

„ბატონიშვილი ერეკლე იყო შვი-
ლი ერეკლე მეფის ძის ალექსანდ-
რესი, რომელიც მთელი თვის სიცო-
ცხლე საქართველოს ტახტის აღდგე-
ნისათვის ილტოდა. სპარსეთში გადა-
ხვეწილ ალექსანდრეს მიეცა იქ შვი-
ლი ქალაქს სალმასტში 1827 წელსა
(და არა 1818 წ., როგორც ამას
წინად შეცდომით იყო მოხსენებული
ჩვენს გაზეთში), 15 მარიამობის თვეს.
ბატონის რძალმა მარიამმა 1827 ისურ-
ვა თავის მამის მელიქ-საკ ალამალო-
ვას ნახვა და მოვიდა ერივანში, რო-
მელიც ამ წელს დაიპყრეს რუსებმა.
ერეკლე იყო მაშინ რამდენიმე თვისა
და ბატონიშვილს ალექსანდრეს ნება-
დართვით დარჩა დროებით ერივან-
ში.

„რამდენიმე წლის შემდეგ, რუსთ
ხელმწიფის ბრძანებით საქართველოს
მაშინდელი მთავარ-მმართებელი ბა-
რონ როზენი ბატონის რძალს თავის
შვილით იწვევდა ტფილისში. საიდა-
მაც პეტერბურღში უნდა წასუ-
ლიყვნენ. ბატონის-რძალმა არ მოი-
წდომა პეტერბურღში წასვლა და ისევ
სპარსეთში განიზრახა დაბრუნება.
რუსის მთავრობამ მელიქის სასახლეს
ჯარი შემოარტყა და ძალ-დატანებით
მოიყვანეს ერეკლე თავის დედით
ტფილისში და აქედამ გაგზავნეს პე-
ტერბურღში.

„მაშინ ერეკლე შვიდის წლისა იქ-
ნებოდა. იმპერატორმა ნიკოლოზმა
დიდის პატ. ვით მიიღო ბატონის რძალი
და ერეკლე, რომელიც ჯერ ცარსკო
სელსკის სასწავლებელში მიაბარა
და შემდეგ პეტერბურღის პაჟესკის
კორპუსში გადმოიყვანეს. მაგრამ დიდ
ხანს ვერც აქ გასძლო, რადგან ერე-
კლეს არ მოსწონდა იქაური წრთვნა
და სწავლა. ის გამოვიდა სასწავლებ-
ლიდამ.

„ბოლოს ვორონცოვის შემწეობით
იმან მიიღო ნება-რთვა საქართველო-
ში დაბრუნებისათვის დედითა. თ.
ვორონცოვი დიდად პატივსცემდა
იმას და სწორედ ისე ეპყრობოდა,
როგორც მეფის შთამომავალს შეჰ-
ფეროდა.

„შემდეგ ის წავიდა საფრანგეთში,
სადაც დაუახლოვდა მაშინდელ იმპე-
რატორს ფრანცუზებისას ნაპოლეონ
მესამეს. . . . . . . . . . .
. . . . . . .

პარიჟიდამ დაბრუნების შემდეგ ის
მუდამ ტფილისში სცხოვრებდა, სწავ-
ლა-განათლების საქმეს ხელს უმართავ-
და, სკოლები გახსნა, ჩვენს გონებით მო-
ძრაობის საქმეს თვალ-ყურს ადევნებ-
და . . . . იმან შეირთო ცოლად
თ. დავ. ა. ჭავჭავაძის ქალი თამა-
რი *).

„ამ უკანასკნელ თხუთმეტის წლის
განმავლობაში მძიმე ავადმყოფი იყო
ასე, რომ ათასში ერთხელ გარეთაც
ვერ გამოდიოდა და ამ ავადმყოფო-
ბას მიეწერება, რომ იმის სახელი
და მოქმედება თითქმის სრულიად
აღარ ისმოდა ჩვენში. ახლა მხოლოთ
გულით დარჩა ის ქართველი და ყო-
ველი ჩვენებური საკეთილო საქმის
თანამგრძნობელი“...

*) პირველად 1852 წ. დაინიშნა აქ
პოპოვის ქალზედ, რომელსაც თუმცა მა-
მა რუსი ყვანდა, მაგრამ დედა ქართვე-
ლი იყო თორნიკე ერისთვის ასული. ჯვა-
რის დაწერამდინ ლაპარაკი მოუვიდათ
იმაზედ, რომ ქალი რუსეთში გადასახ-
ლებას თხოულობდა და ერეკლე კი სა-
ქართველოში ცხოვრებას და ამის გამო
ეს ჯვარის-წერა ჩაიშალა.

*
* *

გუშინ წინ კვირას ღამით დაბლე-
ბის უბანში, დიდის წვიმისაგან დან-
გრეულა ერთი შენობა, რომელშიაც
ცამეტი დუქანი ყოფილა და ამ დუქ-
ნებში რამდენიმე კაცი მძინარი ქვეშ
მოუყოლებია. ამბობენ ექვსი კაცი
მომკვდარი გამოიღეს ნანგრევებიდა-
მაო.

ჩვენი პოლიცია და ქალაქის არხი-
ტექტორი რომ რიგიანად ასრულებდ-
ნენ თავიანთ მოვალეობას, განკარ-
გულებას რომ დროზე ახდენდნენ, რომ
ერთობ დაძველებული სახლები დაა-
ქცევინონ, ამისთანა უბედურება არას-
ოდეს არ მოხდებოდა...

*
* *

ადგილობის გამო, ბანკის კრების
ანგარიშს დღევანდელს ნომერში ვერ
ვბეჭდავთ.

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

ოზურგეთი, 25 აპრილს. ეს მესამე
წერილია გურიიდამ გაზეთ „კავკაზში“
ავაზაკობის თაობაზედ და სამივე ერთი
მეორეს არ ეთანხმება. ხან შტაბს-კა-
პიტანი დუმბაძე უეცრათ გადაეყრება
ავაზაკებს, სურგულაძეს და ლომჯა-
რიას, ხან ქობულეთიდამ ბათუმის მაზ-
რაში, სადაც მსახურებს, მიდის დუმ-
ბაძე სამი მილიციონერით მეორე გუ-
ბერნიაში და უყარაულებს ავაზაკებს
იმ სახლთან, სადაც აქვთ ჩვეულება
ხშირათ მოაკითხონ, ხან ლომჯარიას
დაჭრილს იჭირავს დუმბაძე და არდ-
გენს ქუთაისის გუბერნატორთან და
სხვა-დასხვა...

უკანასკნელმა წერილმა „კავკაზის„
101 ნომერში სულ დააბნელა საქმე.
ბ. კორრესპონდენტი ამბობს, რომ
პატივცემულ - მოხუცებული ანტონ
დამბაძისაგან ავაზაკებმა 500 მანეთი
ითხოვესო, და თუ მათ თხოვნას არ
შეასრულებდა მოკლას ჰპირდებოდნე-
ნო; იმისათვის დუმბაძე ცოლ-შვი-

---

...მრავალს ქუთუა ჩვეულებრივი
...გეზგილი, კალს კი ოდონდა სცნობდეს!

ჭ.

### ᲒᲐᲠᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲘ

(ვ. ე. მ.)

გულს მიღრღნის კაეშანი,
აღარ ძალმიძს მოთმენა;
გევედრებით, მასმინეთ
ჩემი სამშობლო ენა!

—

უცხო მხარეს მოვექეც,
არრას ვხედავ ჩვენებურს!...
ბედმა რა რიგ მიმუხთლა,
დახე ამ შეჩვენებულს!

—

სამშობლო არ მიხუტებს
ალერსით მოლიმარი:
უცხო მხარეში ვგდივარ,
როგორც რომ პატიმარი!

—

აღარ მალხენს ჩემი მზე,
არც ჩემთ ვარსკვლავთ ცქრიალი;
დღით ნისლი გულს მიწყლულებს,
ღამით ჰქქის ზრიალი!

—

მე ვჩვევივარ კაშკაშ ცას,
ლაჟვარდად მოკამკამეს;
მშობლის თვალით მაცქერალს,
თვის შვილთა მოსალამეს.

—

იქ ანგელოსთა გუნდნი
თვის წიაღში ხარობენ,
და ცით სიმართლისა ხმას
მიწასა დაჰგალობენ!

—

ედემია ამ სოფლად,
თავისუფალთ სინათლე
და მზაკვარ კაცთა ნაცვლად,
მუნ განაგებს სიმართლე!

—

იქ კორდ-მდელონი, ღელე
სულ ფუფუნებით ჰყვავის;
იქ სტვენა ისმის ბულბულთ
და არ ჩხავილი ყვავის!...

—

გულს სევდა უწყალოდ ღრღნის,
აღარ ძალ-მიძს მოთმენა;
ღვთის გულისთვის, მასმინეთ
ჩემი მშობელი ენა!

—

სადა ვარ და ვინა ვარ?
რა ხალხი მახვევია!
ოჰ, გლახ იმედ მიხდილსა,
ეს რა ბედი მწვევია!

—

გევედრებით, მასწავლეთ,
დამიტკბეთ ყურთა სმენა:
სად ვპოვო ჩემი ხალხი
და ჩემი დედა ენა?!...

—

ნუ თუ სოფლის სიმუხთლით
ოცნებამ გამიტაცა:
მე ჩემს ქვეყანაში ვარ
და, მოვინდომე სხვაცა!!

—

არა!... სხვა სამშობლო მაქვს,
არ ჰგავს ამ არე-მარეს!
და ან კი შეედრება
ეს იმ ჩემს ნეტარ მხარეს?!...

—

მომეცით ჩემი მხარე,
მაჩვენეთ სამშობლო ცა;
დამიბრუნეთ მოძმენი
და ჩემი სამშობლოცა!

ხვ. ჩაგერელი.

27 აპრილს.

ლით მიენდო პოლიციასო და გარდმოსახლდა დროებით ოზურგეთში.

ჩვენ მურულებმა კარგათ ვიცით, რომ პატივ-ცემული ბუმბაძე არის ერთი ღარიბთაგანი აზნაურიშვილი გურიაში და ვის გაუგონია, რომ ავაზაკებმა მიატოვონ მდიდრები, და ღარიბებს მოსთხოვონ ფული? სხვა მიზეზი რამე თუ იყო, ანუ ღალატობა თუ შესწამეს, რაისაც მოწერას ერიდება ბ. კორრესპონდენტი?

ამ სხვა-და-სხვა წერილებიდან ადვილათ დაინახავს ყოველი კაცი, რომ ოზურგეთში ყოველ წოდების საზოგადოებაში არის რამოდენიმე პარტია, და ამასთან ყველაზედ არ მოიწერება, რომ კაცმა გაიგოს ცოტაოდენი ეხლანდელი მდგომარეობის მიზეზები... რატომ ეს მდგომარეობა ჩვენში გაჩნდა სამი წელიწადია, და 40 წლის წინ არ ყოფილა?

რაც შეეხება იმას, რომ ლომჯარია მისმა თავდებმა იესე ჩხატარაიშვილმა პირ-და-პირ ქუთაისში გუბერნატორთან წაიყვანა, ვითომ მისთვის რომ დაიმსახუროს ბ. გუბერნატორის წინაშე, ძალიან ეჭვში ვარ. თუ თავდები ცდილობდა, რომ გადარჩენილიყო ორი ათასი მანეთისაგან, რომელსაც სასამართლო სთხოვდა თავდებობაში, ამისათვის იმას შეეძლო მისულიყო ოზურგეთში, (შემოქმედიდამ 6 ვერსზედ), სადაც არის სასამართლო და ადმინისტრაცია და არა 100 ვერსი გაევლო შემოქმედს და ქუთაის შუა.

ამასთან უნდა დავძონო, რომ დუმბაძე, თავის სოტნით, ე. ი. ორასი კაცით იყო გაგზავნილი ამას წინეთ ოზურგეთში და იქ იდგა წელიწადზედ მეტი ავაზაკების დასაჭერათ; მაგრამ ის ვაჟკაცობა არ გამოუჩენია 200 კაცით, რაც დღეს ბათუმიდამ მოსულმა სამი დღის ვადით სამი კაცით?

თქვენ პატივცემულ გაზეთში არაერთხელ იყო თქმული, რომ ოზურგეთის ბნელი საქმეების გამო კვლევა შეუძლიან სასტიკ რევიზიასაო და ეს რევიზია საჭირო არისო. ჩვენც ამ აზრის გახლავართ ერთიანათ და დროც არის ეხლა რაკი ლომჯარია გამოცხადდა, შეიძლება ბევრი საიდუმლო წარმოსთქვას; კიდეც ისმის მისგან ბევრი დაუჯერებელი ამბავი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარსევანიშვილი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

—

დაიბეჭდა და ისყიდებ,

## ქეთევან
## ყარამნისშვილის
მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ **პირველის ნაწილიდამ** ვიდრე უკანასკნელ **ნაწილამდინ** მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

სომეხთ ნერსესის პოპეჩიტლების სოვეტში არის დანიშნული:

1) ამა მაისის 12-ს საღამოს 8 საათზედ მეორე ტორგი (უპერეტორჟკოდ) იჯარით მისაცემად ნერსესიან ძველ სემინარიის ზემო-ეტაჟისა, რომელიც შეიცავს ერთს დიდს საკონცერტო ზალას და თერთმეტ დიდრონ ოთახებს,

2) 26 მაისს, საღამოს 8 საათზედ, იქნება პირველი ტორგი იჯარით გასაცემად წმიდა სანთლის ვაჭრობისა სომეხთ ეკკლესიებზე და მრევლზედ.

მსურველს შეუძლიან წაკითხვა დაწერილებით პირობებისა ამავ სემინარიის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირისა და უქმ დღეების გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე 12 საათამდინ. (3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

**გიორგი ნ. ძის იოსელიანის** და **გ. რეცოლდის პანსიონში** იღებენ ზაფხულის თვეებში ყმაწვილებს მოსამზადებლად სამხედრო და სამოქალაქო გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში, საოსტატო ინსტიტუტში და სხვ.

მიხაილოვის ქუჩა სახლის № 81 (2—2)

**იურიდიული კაბინეტი**

**იურიდიული ბიბლიოთეკით**

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბილოვის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—24)

**ექიმი შტემბორსკი**

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავათმყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 11 საათამდინ და საღამოს 4 საათიდამ 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი სადოვის ქუჩა, სახლის № 50. (10—6)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი **თ. რ. ერისთვისა.**

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **ისყიდება:** პაპიროსები ... კაპ. დაწყებული; სტაქნები, ... 10 კაპ—დამ; პაპიროსები 5 ... მურაბა და ალბომები ნახევარ ... და სხვ. (100—...)

„წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მმართებლობა აცხადებს, რომ მისგან დაარსებულ ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია თიბათვიდამ. ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—3)

**ისყიდება**

თფილისის წიგნის მაღაზიებში ... ლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной Грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძის მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

სურამის და ხაშურის სტანციაზე ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—13)

**ახლად ჩამოსული**

## ბებია-ქალი

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც ... წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საქალაქო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მიიღებს ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის დამზადებული ოთახები.

ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60.

ბებია-ქალი დობროდეევა—კაჟინსკისა

(24—19)


**ტაქსა**

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დატარებით 1 მაისიდამ 15 ისმამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 12 |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Мая 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მეს...